

“ქართველი მუსლიმები მზად არიან, იარაღით ხელში მოიპოვონ თავისუფლება”.

<http://bit.ly/2OIhTUO>



“ქართველი მუსლიმები მზად არიან, იარაღით მოიპოვონ თავისუფლება”

თი: ივნისი 14, 2019 In: საზოგადოება

ბეჭდვა Email

2019 წლის 14 ივნისს საინფორმაციო პორტალმა tvalsazrisi.ge გამოაქვეყნა სტატია სათაურით “ქართველი მუსლიმები მზად არიან, იარაღით ხელში მოიპოვონ თავისუფლება”.

თურქეთი საქართველოს მხრიდან, აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქართველების შევიწროებაზე ალაპარაკდა და მშენებარე მეჩეთის პრობლემას გამოეხმაურა. ამის შესახებ რუსული წყარო, კონკრეტულად, საიტი www.eg.ru წერს: “აჭარელი მუსლიმები მზად არიან, დამოუკიდებლობა იარაღით დაიცივან. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ აჭარაში სიტუაცია დაძაბულია. აჭარელი მუსლიმებისა და ქართველი ქრისტიანების დაპირისპირებამ, ფართო მასშტაბები მიიღო და რელიგიურ კონფლიქტად ყალიბდება”.

აჭარას აქვს ყველანაირი პირობა იმისათვის, რომ გაიზიაროს აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” ბედი და გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ვართ მზად, ჩვენს თანამოაზრე აჭარელ მუსლიმებთან ერთად, იარაღით ხელში ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისთვის,” _ აღნიშნულია განცხადებაში.

წყარო: რუსული გამოცემა “Express gazeta” (“Экспресс газета”)

ვინ: ქართველი მუსლიმები (არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული სათემო ორგანიზაცია, ინდივიდი ან სხვა წყარო, რომელიც დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე საუბრობს)

როდის: არ არის მითითებული თარიღი, როდის გაკეთდა განცხადება

სად: არ არის მითითებული კონკრეტული ქალაქი, ერთადერთი ინდიკატორი არის მუსლიმებით კომპაქტურად დასახლებული აჭარა და ფოთი, რომელიც ბათუმს ასახავს.

როგორ: პროტესტი (ფოთი ასახავს საპროტესტო აქციას ტრანსპარანტებით ხელში, საპროტესტო წერილს, რომელსაც კონკრეტული ავტორი არ ჰყავს)

რა: ქართველი მუსლიმები მზად არიან იარაღით ხელში და თურქეთის მხარდაჭერით დაიცვან დამოუკიდებლობა საქართველოსგან.

რატომ: იმიტომ რომ მუსლიმების უფლებები არ არის დაცული.

დავამუშაოთ:

როგორ შეგიძლიათ გადაამოწმოთ ეს ინფორმაცია ვერიფიკაციის სხვადასხვა ინსტრუმენტების და ღია წყაროების გამოყენებით?

1. _____

2. _____

3. _____
